თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 9

ქ. თელავი 2020 წლის 24 ნოემბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: **დავით ღაღანიძე**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **გიორგი ჩაბრაშვილი, ზურაბ მუსაევი, ბესიკ ქოჩიშვილი, ვასილ არაბული, არჩილ თვალიაშვილი, ირაკლი სულხანიშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიგა ორკოდაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი **გურამი წულუკიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო''-ს თავმჯდომარე **ლევანი ლილუაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **ლევან ღარიბაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები''-ს თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები''-ს თავმჯდომარე **მაია მარკოზაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული

დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **დავით ნუსხელიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ზურაბ ენუქიძე.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. დ. ღაღანიძე

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **დავით ღაღანიძემ** აღნიშნა, რომ თელავის მუნიცპალიტეტის შემოსულობები წარმოდგენილი პროექტის მიხედვით განისაზღვრება 23014,6 ათ.ლარით. ამავე თანხით არის განსაზღვრული ხარჯვითი ნაწილი, საიდანაც ინფრასტრუქტურული ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 6733,8 ათ.ლარი.მათ შორის:

1. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება 1048, 8 ათ.ლარი
2. ბინათმშენებლობის ღონისძიებები -386,0 ათ ლარი
3. გარე განათების რეაბილიტაცია /მოწყობა და ექსპლუატაცია 1000,0 ათ ლარი
4. დასუფთავების ღონისძიებები 950,0 და ა.შ.

კითხვის ნიშნებს იწვევს მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარებისათვის გამოყოფილი 900,0 ათ. ლარი, მათ შორის 300,0 ათ. ლარით მუნიციპალური ტრანსპორტით ხელშეწყობის რა ღონისძიებები უნდა დაფინანსდეს.

ლევან ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ 300, 0 ათ. ლარით უნდა მოეწყოს მუნიციპალური ტრანსპორტის გასაჩერებელი ადგილები.

ზესიკ ქოჩიშვილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალურმა ტრანსპორტმა აუცილებლად უნდა იმოძრაოს. მართალია მონიშნული არა გვაქვს გასაჩერებელი ადგილები, მაგრამ ეს თანხა საჭიროა. ეს თანხა რათქმაუნდა სავარაუდოა, მაგრამ საჭიროა გაჩერების ადგილების მოსაწყობად.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი განსახილველად წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

კომისიის თავმჯდომარე დავით ღაღანიძე